პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 254 (11258) | შაბათი, 1 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებისაგან ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა სამუდამოდ!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან).

საბჭოთა მთავრობის განცხადება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე

საბჭოთა მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ატომგულის იარაღის მქონე სამი სახელმწიფოს თათბირს, რომელიც 31 ოქტომბერს იხსნება ჟენევაში, ყველა შესაძლებლობა აქვს, დადებითად გადაწყვიტოს ისტორიული ამოცანა — სამუდამოდ შეწყდეს გამოცდა ყველაზე დამანგრეველ და მომაკვდინებელ სახეობათა იარაღისა, როგორიც კი ოდესმე შეუქმნია კაცობრობას.

მოითხოვს რა დაუყოვნებლივ და ყველგან სამუდამოდ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ამ საკითხის გადაჭრის შემდგომი გაჭიანურება სულ ახალ დამატებითს სიძნელეებს ქმნის სახელმწიფოებს შორის სათანადო შეთანხმების მიღწევის გზაზე.

საბჭოთა მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა წინადადება გამოცდის ერთი წლით შეჩერების შესახებ სრულიად მიუღებლად მიაჩნია და კატეგორიულად უარყოფს მას. შემოაქვთ რა ასეთი წინადადება მას შემდეგ, რაც დაჩქარებით განახორციელეს ღღემდე ყველაზე ინტენსიური სერია გამოცდებისა, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი აშკარად ცდილობენ მიიღონ ცალმხრივი სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირის წინაშე.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში შემდეგ ნათქვამია:

„დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედება სრულ უფლებას აძლევს საბჭოთა კავშირს განაგრძოს გამოსაცდელ აფეთქებათა განხორციელება პროპორციით ერთი ერთზე იმ აფეთქებათა რიცხვის მიმართ, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა განახორციელეს ორივემ ერთად, სანამ საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ აფეთქებათა რიცხვი მის მიერ გამოცდის განახლების შემდეგ არ გაუთანაბრდება ატომგულის იარაღის ამ აფეთქებათა რიცხვს, რომლებიც ამ სახელმწიფოებმა განახორციელეს 1958 წლის 31 მარტიდან.

ზრუნავს რა საბჭოთა ხალხის უშიშროებისათვის, ხაზგასმით აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, საბჭოთა მთავრობა სწორედ ასე მოიქცევა მანამდე, სანამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები განაგრძობენ შეთანხმების ჩაფშვას და სულ ახალ და ახალ დაბრკოლებებს შექმნიან ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე“.

საბჭოთა კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მზად არიან დადონ აღნიშნული შეთანხმება, სსრ კავშირი, ხელს მოაწერს რა მას ახლავე, მათთან ერთად დაუყოვნებლივ შეწყვეტს გამოცდებს, იმის მიუხედავად კი, რომ საბჭოთა კავშირმა უფრო ნაკლები გამოსაცდელი აფეთქებანი განახორციელა.

განცხადება აბსურდულს უწოდებს მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა გაუსწრეს მას ატომგულის კვლევის დარგში და ამიტომ მან თითქოს „დაკარგა ინტერესი გამოცდის შეწყვეტისადმი“.

თუ ვინმეს ელანდება საბჭოთა კავშირის „ჩამორჩენა“ ატომგულის კვლევის დარგში, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სასურველს სინამდვილედ მიიჩნევს.

დასასრულ განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი ჟენევის თათბირზე იბრძოლებენ იმისათვის, რომ ატომგულის იარაღის გამოცდა დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყდეს სამუდამოდ. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲛᲘᲡᲐᲑᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲐᲡᲐᲦᲔᲑ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲕᲐᲚ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

მარცვლეული კულტურების მოსავლის ცალ-ცალკე აღებას ამ უკანასკნელ წლებში უაღრესად ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის ყველა ზონაში და განსაკუთრებით ციმბირის, ყაზახეთის, ურალის, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინისა და ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქების მარცვლეული კულტურების ძირითად რაიონებში.

როგორც გამოცდილებამ ცხადყო, მოსავლის ცალ-ცალკე აღების დროს ღვარეულების ასალაგებლად ყველაზე ხელსაყრელი მანქანაა თვითმავალი კომბაინი. თვითმავალ კომბაინებზე მუშაობისას მნიშვნელოვნად იზრდება მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერება მისაბმელ კომბაინებთან შედარებით, მცირდება საწვავის ხარჯვა, კლებულობს აღებული მარცვლის თვითღირებულება.

გარდა ამისა, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაზე მისაბმელი კომბაინებით მუშაობისათვის ყოველწლიურად საჭირო ხდება ბევრი მძლავრი მუხლუხა ტრაქტორი. ნაკლებჩალიანი პურეულის მოსავლის ცალ-ცალკე აღების პირობებში ამ ტრაქტორების, ისე როგორც მისაბმელ კომბაინთა ძრავების სიმძლავრე ხშირად არ არის მთლიანად გამოყენებული. ამავე დროს ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორების ნაკლებობის გამო ფერხდება უხვი მოსავლის მისაღებად ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება, როგორიც არის მზრალად ხვნა და შემოდგომის ანეულის ხვნა.

პურის მოსავლის აღებაზე მისაბმელი კომბაინების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და მზრალად ხვნისა და შემოდგომის ანეულის ხვნისათვის ტრაქტორების განთავისუფლების მიზნით შემოჰქონდათ წინადადებები აღნიშნული კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთების შესახებ. ამჟამად სარატოვის ოლქის მექანიზატორებმა განახორციელეს ს-6 მისაბმელ კომბაინთა საცდელი ნიმუშების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთება. ამ კომბაინების მუშაობა ადასტურებს, რომ ასეთი გადაკეთება მიზანშეწონილია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სარატოვის საოლქო კომიტეტის მიერ შესრულებული მუშაობა მისაბმელი მარცვლეულის კომბაინების გადაკეთებისათვის თვითმავალ მოდიფიკაციად პურის მოსავლის ცალ-ცალკე აღებისას მათი გამოყენების მიზნით. მიეცეს რჩევა კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს კომბაინების გადაკეთებისას თავი შეიკავონ ხედერების დამოკლებისაგან, რათა ამ ხედერებისაგან გაკეთონ ლოფეტიანი სამკელები, ხოლო სალეწებისაგან — თვითმავალი ამლაგებლები.

2. მისაბმელი კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებისათვის ყველაზე რაციონალური კონსტრუქციის კვანძების შექმნის მიზნით დავალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესო კონსტრუქციის სამარჯვეო, ამასთან დაწესოს ავტორებისათვის შესაბამისი წამახალისებელი პრემიები. კონკურსის ვადად დაწესოს არა უმეტეს ერთი თვისა.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით 1958 წლის 20 დეკემბრისათვის მოამზადოს და შემოიტანოს წინადადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მისაბმელი კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებისათვის კვანძებისა და დეტალების წარმოების მოწყობისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომბაინების გადაკეთების სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, როგორც შემოწმებით გამორკვა, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, გორში და რუსთავში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ნაწილობრივი შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში 147[1] მუხლის შეტანის შესახებ“ ძირითადად დამაკმაყოფილებლად სრულდება. ბრძანებულებამ დიდი როლი შეასრულა ინდივიდუალური ბინათმშენებლების მიერ მიწის თვითნებურად დატაცების, უნებართვოდ და დაწესებული ნორმის დარღვევით მშენებლობის აღკვეთის საქმეში. მაგალითად: ქ. თბილისში თუ 1957 წელს მშენებლობისათვის მიწის თვითნებურად დაკავების 210 შემთხვევა იყო გამოვლინებული, აღნიშნული ბრძანებულების გამოცემიდან ხუთი თვის განმავლობაში გამოვლინებულია მხოლოდ 10 შემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა გარკვეული ღონისძიებები გაატარეს ბრძანებულების სწორად განხორციელებისათვის, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

საქალაქო და რაიონული საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი ყოველთვის არ იღებს გადამჭრელ ზომებს მიწის თვითნებურად დაკავებისა და უნებართვო მშენებლობის აღსაკვეთად. მილიციისა და პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას ვერ უწევენ რაიონული საბჭოების აღმასკომებს დამნაშავე პირთა გამოვლინებისა და პასუხისგებაში მიცემისათვის და ზოგჯერ აჭიანურებენ ამ საქმეების გამოძიებას. შემოწმებულ ქალაქებში თვითნებურად აგებული ნაგებობების ჩამორთმევას არ ახორციელებენ და ქმაყოფილდებიან ნაგებობების დანგრევით. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე მშენებლობის 6 შემთხვევიდან რაიონული საბჭოს აღმასკომმა მასალები გადასცა მილიციას მხოლოდ 3 პირის პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ რაიმილიციის განყოფილებამ ამ დამნაშავე პირების მიმართაც არ მიიღო საჭირო ზომები და მათი საქმეების გამოძიება გააჭიანურა. მაგალითად: მოქ. ი. რუბაშვილმა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ 1958 ᲬᲚᲘᲡ 21 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

იყალთოს მთაზე 1957-58 წლებში თვითნებურად სამჯერ ააშენა სახლი, რომელიც რაიონული საბჭოს აღმასკომმა სამჯერვე დაუნგრია და მასალები მის პასუხისგებაში მისაცემად გადასცა რაიმილიციას. მაგრამ იგი პასუხისგებაში არ მიუციათ. დაუსჯელობით გათამამებული რუბაშვილი ა. წ. 29 სექტემბერს მეოთხედ შეეცადა აეშენებინა სახლი. ანალოგიური მდგომარეობა იყო აგრეთვე ქ. ქუთაისში, ქ. ფოთში და სხვ.

მიწის თვითნებურად დამკავებელ პირთა წინააღმდეგ არადამაკმაყოფილებელ ბრძოლას ეწევა აგრეთვე ქ. ფოთის პროკურატურა. 1958 წლის აპრილის თვეში ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მასალები მიწის თვითნებურად დამკავებელი 14 პირის მიმართ გადაუგზავნა პროკურატურას, ეს უკანასკნელი კი დაკმაყოფილდა მხოლოდ რამდენიმე პირის გაფრთხილებით თვითნებურად აშენებული სახლის აღების შესახებ, დანარჩენ მასალებს კი არ გამოხმაურებია.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის პროექტების დამტკიცებისას ადგილი აქვს კანონით დაწესებული ნორმების დარღვევას და მიწის ნაკვეთების არასწორად გამოყოფას. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის დადგენილების გამოცემის შემდეგ საცხოვრებელი ფართობის ნორმების ზევით დაუმტკიცა პროექტები 5 მოქალაქეს. ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კი იმ პირების მიმართ, რომელთაც დამტკიცებული ჰქონდათ სახლის მშენებლობის პროექტები ძველი ნორმით და მშენებლობა არ ჰქონდათ დაწყებული, არ გადასინჯა ეს პროექტები ახალი ნორმების გათვალისწინებით.

ზოგიერთი რაიონის პროკურატურა და სახალხო სასამართლო 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულების გამოცემის შემდეგაც განაგრძობენ მშენებლობისათვის მიწის თვითნებურად დატაცებაში მხილებული პირების მოქმედების კვალიფიცირებას სსკ 88[1] მუხლის ძველი რედაქციით. მაგალითად: ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახ. სასამართლომ რაიონის პროკურატურიდან მიიღო საქმეები და გააასამართლა ორი მოქალაქე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის ძველი რედაქციით, ახალი ბრძანებულების გაუთვალისწინებლად.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) ინდივიდუალური და საადგილო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფისას ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 21 აპრილის ბრძანებულება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აპრილის დადგენილება, მიიღონ გადამჭრელი ზომები მიწის თვითნებურად დაკავებისა და უნებართვო მშენებლობის აღსაკვეთად;

ბ) ინდივიდუალური საბინაო და საადგილო მშენებლობის პროექტების დამტკიცებისას ზუსტად დაიცვან სართულიანობის, ოთახების რაოდენობისა და ფართობის კანონით დაწესებული ნორმები.

უახლოეს დროში გადასინჯონ ინდივიდუალური მშენებლობის ადრე დამტკიცებული პროექტები ახალი კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად;

გ) მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისას დამრღვევ პირთა მიმართ მასალები დროულად გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს მათ პასუხისგებაში მისაცემად;

დ) უზრუნველყონ თვითნებურად აშენებულ ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევა და საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალურ ფონდებში ჩარიცხვა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. ვ. ჯანჯღავა) უზრუნველყოს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევათა დროული გამოვლინება მილიციის ადგილობრივი ორგანოების მიერ და დამნაშავე პირთა შესახებ გადაცემული საქმეების კანონით დაწესებულ ვადებში გამოძიება.

3. შემოწმების მასალები მიწის დატაცებისა და თვითნებურ მშენებლობაში დამნაშავე პირთა შესახებ გადაეგზავნოს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს გამოსაძიებლად და კონკრეტულ დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲮᲛᲐ

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწოდებით ჩვენს ქვეყანაში ეწყობა ატომური იარაღის აკრძალვისათვის, მისი გამოცდის სრული და უთუო შეწყვეტისათვის ერთობლივი მოქმედების ერთთვიური.

29 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერთა კრება, მიძღვნილი ატომური ომის საფრთხის საკითხებისა და მეცნიერთა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მეცნიერთა III საერთაშორისო კონფერენციის შედეგებისადმი.

კრება შეხვალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ბოჭორიშვილმა.

მოხსენება მეცნიერთა III საერთაშორისო კონფერენციის შედეგების შესახებ გააკეთა კონფერენციის მონაწილემ, მოსკოველმა მეცნიერმა, პროფესორმა ნ. დობროტინმა.

სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ა. ჩიქობავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები პროფესორები ა. წულუკიძე, ნ. კეცხოველი, გ. ახვლედიანი და სხვები. ისინი, გამოთქვამდნენ რა ერთსულოვან მოწონებას საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამო, რომელიც განუხრელად და თანმიმდევრულად იბრძვის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტისათვის, ამბობდნენ, რომ საბჭოთა მეცნიერები მზად არიან გაორკეცებული ენერგიით განაგრძონ ბრძოლა ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ყველა ხალხის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის დამყარებისათვის.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო განცხადება, რომელითაც ქართველი მეცნიერები მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სწრაფად გადაჭრას ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისა და გამოცდის დაუყოვნებლივ აკრძალვის საკითხი. (საკდესი).

ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲔᲧᲐᲠᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲖᲔ

29 ოქტომბერს მოსკოვში ლენინის გორაზე გაიმართა დედაქალაქის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დიდი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა პიონერთა სასახლის საძირკვლის ჩაყრას.

მიტინგი გახსნა საკავშირო ალკკ საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ფ. სტუკალინმა. სიტყვები წარმოთქვეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ლ. კ. ბალიასნიამ, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ვ. მირონოვამ, მუშათა და სტუდენტთა კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ქვის ობელისკს მოხსნეს საბურველი. ობელისკზე ამოკვეთილია სიტყვები: „პიონერთა საქალაქო სასახლეს საძირკველი ჩაუყარეს ქ. მოსკოვის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ საკავშირო ალკკ 40 წლისთავის აღსანიშნავად. 1958 წლის 29 ოქტომბერი“.

ამ მალე დაიწყება დიდი მშენებლობა, იგი გამოცხადებულია კომკავშირულად.

დედაქალაქის ნორჩი პიონერები მიიღებენ შესანიშნავ საჩუქარს — 54 ჰექტარი საერთო ფართობის პიონერთა მთელ ქალაქს. მის ცენტრში იქნება მთავარი შენობა მეცნიერების კორპუსებით, პიონერთა თეატრით, გასართობი ტექნიკის კლუბით, 1.000-ადგილიანი საკონცერტო დარბაზით და დიდი ბიბლიოთეკით.

აქ იქნება ორანჟერეა, ხეხილის ბაღი, ნაკვეთები მინდვრის, მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისათვის, პატარა ზოოპარკი. შესანიშნავ ნაგებობას მიიღებენ ნორჩი სპორტსმენები — სტადიონს, მძლეოსანთა მანეგს, საცურაო აუზებს. (საკდესი).

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

⊙ ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა გეგმაზე ადრე შეასრულა სახაქონლო პროდუქციის დამზადების 10 თვის გეგმა და დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მილიონობით მანეთის პროდუქცია მისცა.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

⊙ ზესტაფონის რაიონის მშრომელებმა 25 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 2.000 ტონა ყურძენი (ცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.000 ტონისა. ამრიგად, სახელმწიფოსათვის სულ ჩაბარებულია 15.400 ტონა ყურძენი. სახელმწიფოსათვის ყურძენის მიყიდვა გრძელდება.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ

⊙ თერჯოლელ მშრომელებს სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს, 30 ოქტომბრისათვის შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. საშუალოდ ერთ საფურაუე ძროხაზე მიღებულია 900 კილოგრამი რძე, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 90 კილოგრამით მეტი. ჩაბარეს 1.700 ტონა ყურძენი. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ

⊙ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა 26 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.936 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.800 ტონისა. რაიონის მევენახეები იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით კიდევ მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.000 ტონა ყურძენი.

ᲐᲒᲐᲨᲐ

⊙ აბაშის რაიონის მშრომელებმა სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს, 30 ოქტომბრისათვის შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. საშუალოდ ერთ საფურაუე ძროხაზე მიღებულია 900 კილოგრამი რძე, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 90 კილოგრამით მეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის დიადი ძალა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა ყოფნა საქართველოში გადაიქცა საბჭოთა და პოლონელი ხალხების, ჩვენი რესპუბლიკისა და პოლონეთის მშრომელების ძმობისა და მეგობრობის მძლავრ და დაუვიწყარ მანიფესტაციად. ეს მეგობრული გრძნობები დიდი ძალით გამოვლინდა პოლონეთის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეთა მრავალი შეხვედრის დროს ქართველი ხალხის წარმომადგენლებთან. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეალების, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების ერთგული საბჭოთა ადამიანები სულითა და გულით მიესალმნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს, ამით გამოხატეს ურყევი ნება მოძმე ქვეყნის მშრომელ ხალხთან, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყველა ხალხთან ხელიხელჩაკიდებულებმა განამტკიცონ თავიანთი ერთიანობა და დარაზმულობა.

გულწრფელი მეგობრობისა და ძმობის ატმოსფერო იყო დარბაზობაზე, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად მოაწყეს 29 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აჟქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ. დიდი ყურადღებით მოისმინეს დარბაზობის მონაწილეებმა აბჭოთა და პოლონელ ხელმძღვანელ მოღვაწეთა სიტყვები. ეს სიტყვები გამსჭვალული იყო განსაკუთრებული გულითადობით და მათ მხურვალედ შეხვდნენ დამსწრეები.

პოლონელ მეგობრებს სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

დღევანდელ სუფრაზე მე მინდა პირველად შეესვა პოლონეთის შესანიშნავი მშრომელი ხალხის, მისი მებრძოლი ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სადღეგრძელო.

საქართველოს მშრომელები ძმური მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობით ადევნებენ თვალყურს პოლონელი ხალხის დაძაბულ ბრძოლას, დიდი სიხარულით ხვდებიან შესანიშნავ გამარჯვებებს, რომლებიც მოიპოვა მან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გზაზე.

ჩვენ გამოვთქვამთ იმედსა და დიდ რწმენას, რომ სახალხო პოლონეთის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს გაერთიანებული მუშათა პარტიის გარშემო, სოციალისტური ბანაკის ყველა ხალხთან ხელიხელჩაკიდებულნი მოიპოვებენ ახალ და ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ მშენებლობას.

მე მსურს ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე და წარმატებანი მუშაობაში ჩვენს ძვირფას მეგობარს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს ამხანაგ ვლადისლავ გომულკას.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ აქ, ჩვენს ქართულ მიწაზე შესაძლებლობა გვაქვს მივესალმოთ პოლონელი ხალხის ერთგულ შვილს, თვალსაჩინო პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ ალექსანდრ ზავადსკის.

დიდი სიამოვნებით ვსვამ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის, სახალხო პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ იუზეფ ცირანკევიჩის სადღეგრძელოს.

დღეგრძელობას ვუსურვებ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ყველა წევრს.

კიდევ და ერთხელ კიდევ გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში პოლონელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მშვიდობა და ბედნიერება მოძმე პოლონელ ხალხს!

* * *

დარბაზობის დროს სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ.

ამხანაგ ა. ზავადსკის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო მჟავანაძე!

ძვირფასო ამხანაგო ჩუბინიძე!

ძვირფასო ამხანაგო ჯავახიშვილო!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

სახალხო პოლონეთის დელეგაციამ ნამდვილი სიხარულით დაადგა ფეხი მშვენიერი, მზიანი საქართველოსა და მისი სახელოვანი დედაქალაქის — თბილისის მიწას, რომელმაც ეს-ეს არის იდღესასწაულა თავისი არსებობის ათასხუთასი წლისთავი. გულითადი შეხვედრები, რომლებიც გვქონდა ჩვენ გუშინდელი დღიდან თქვენთან, ქალაქის მოსახლეობასა და მის ახალგაზრდობასთან, აგრეთვე რუსთაველი და ყველგან, სადაც ჩვენი დელეგაცია იყო, — მკაფიოდ მოწმობენ, რომ ლუმაც ჩვენი ქკლუნები და ჩვენი დედაქალაქები დიდი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი ხალხები მახლობლები არიან—მახლობლები არიან თავიანთი წარსულის ისტორიის არა ერთი ფურცლით, მახლობლები ჯრიან დღეს ძმური მეგობრობითა და სოციალიზმისა და მშვიდობის საერთო მიზნებით.

პოლონელები საქართველოს როდი იცნობენ როგორც მარტოოდენ მრისხანე, მშვენიერი მთებისა და ნაყოფიერი მცენარეულობის ქვეყანას, მგზნებარე ტაძვა „ქართულისა" და სევდით სავსე სიმღერის „სულიკოს" ქვეყანას, რომელსაც დღეს არაერთხელ გაიგონებთ პოლონეთის მდინარე ვისლაზე. პოლონელები საქართველოს იცნობენ აგრეთვე როგორც ქვეყანას, რომლის უშიარი და ამაყი ხალხი საუკუნეებს მანძილზე აწარმოებდა გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სპარსელებისა და თურქების შემოსევების წინააღმდეგ, ცარიზმის ჩაგრის წინააღმდეგ, იცნობენ საქართველოს როგორც შოთა რუსთაველის სამშობლოს და როგორც ქვეყანას, რომელშიც უკვე წარსული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში შეიქმნა მარქსისტული რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც შევიდა უკვდავი ლენინის მიერ დაარსებულ ბოლშევიკთა პარტიაში.

დღევანდელი საქართველო სახელგანთქმულია ჩვენს ქვეყანაში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, როგორც აყვავებული სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის მაგალითი მოწმობს, თუ რა დიდი უპირატესობა აქვს გზას, რომლითაც მიდიან ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული, თანასწორი და თავისუფალი სოციალისტური ქვეყნების ძმურ ოჯახში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირში დარაზმული ხალხები. თქვენთან ყოფნის ორი დღის განმავლობაში ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით თქვენს უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებში. ჩვენ შეგვიძლია ეს გითხრათ თქვენ, როგორც ჩვენი გულწრფელი რწმენა, რომელსაც გავუზიარებთ ჩვენს ხალხს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

პოლონეთშიც აგრეთვე შედარებით ადრე, XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დაიწყო მუშათა რევოლუციური მოძრაობა, შეიქმნა და გამოიწრთო მარქსისტული პარტია. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პოლონელ რევოლუციონერ დემოკრატებს, ხოლო შემდეგ პოლონელ მარქსისტებს მხარს უჭერდნენ და უერთდებოდნენ რევოლუციური რუსეთის საუკეთესო შვილები.

თქვენ იცით პოლონელებისა და რუსების, აგრეთვე პოლონელი და ქართველი პროგრესული მოღვაწეების, პოეტებისა და რევოლუციონერების შეხვედრებისა და მეგობრობის ისტორიული ფაქტები. სწორედ ძველი რუსეთის ამ პატრიოტ რევოლუციონერებს მიმართავდა სოლიდარობისა და მეგობრობის გულითადი სიტყვებით ყველაზე დიდი პოლონელი პოეტი ადამ მიცკევიჩი, რომლის სახელიც უწოდეთ თქვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. კლასობრივი მუშათა მოძრაობის დაწყებამ განამტკიცა ეს კავშირი, გამოაწრთო ერთობლივ ბრძოლაში 1905 წლის ბარიკადებზე, განასახიერა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისეთი მოღვაწეების სახით, როგორიც არიან ფელიქს ძერჟინსკი, იულიან მახლევსკი და ბევრი სხვა.

აგრძოდნენ რა ცარიზმის წინააღმდეგ, პოლონელი რევოლუციონერები იბრძოდნენ ამავე დროს პოლონეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ნაციონალიზმის წინააღმდეგ. რომლის დახმარებით მდიდართა კლასები ცდილობდნენ დაემონებინათ პოლონელი ხალხის მასები და გაეთიშათ რუსეთის მშრომელებთან მათი მოქმედების ერთიანობა.

რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ დაამსხვრია ხალხთა საპყრობილე— ცარიზმი და მოუტანა პოლონეთს თავისუფლება. თავის ერთ-ერთ პირველ დეკრეტში საბჭოთა მთავრობამ ლენინის მეთაურობით ცნო პოლონელი ხალხის თვითგამოცალკევების სრული უფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა. მაგრამ ძალაუფლება პოლონეთში მაშინ ხელთ იგდეს მეშამელეებმა და ფაბრიკანტებმა. მათმა პოლიტიკამ, რომელიც ნაკარნახევი იყო კლასობრივი სიძულვილით მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოსადმი — საბჭოთა კავშირისადმი და პოლონეთის მშრომელი მასებისადმი, კვლავ დააკარგვინა პოლონელ ხალხს დამოუკიდებლობა 1939 წელს და მიიყვანა იგი ჰიტლერული ოკუპაციის საშინელებამდე. მოძმე საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთის განთავისუფლებამ არა მარტო იხსნა მილიონობით პოლონელის სიცოცხლე, არამედ შექმნა ვითარება, რომელშიც პოლონეთის მშრომელმა მასებმა მუშათა კლასისა და მისი მარქსისტულ-ლენინური პარტიის—პოლონეთის მუშათა პარტიის მეთაურობით შეძლეს ხელში აეღოთ ძალაუფლება.

ამ მომენტიდან პოლონელი ხალხი იყენებს მთელ თავის ძალასა და უნარს სოციალიზმის ასაშენებლად. ამ დიად საქმეში, რაც ყოველწლიურად იწვევს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, ჩვენი პარტია — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია და ჩვენი ხალხი სარგებლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების უდიდესი გამოცდილებითა და დახმარებით.

ძვირფასო ამხანაგებო! 41 წელმა განვლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ამ ხნის მანძილზე საბჭოების ქვეყანა გადაიქცა დიდ მსოფლიო სამრეწველო სახელმწიფოდ, რომელიც სწრაფი ტემპით ესწრაფვის გაესწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს. იგი გახდა მოწინავე ქვეყანა მეცნიერების დარგში, მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების საიმედო დასაყრდენი.

იმპერიალისტებს არ სურთ მშვიდობიანი შეჯიბრება სოციალიზმთან. ისინი უარყოფენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიან წინადადებებს, მათ შორის პოლონეთის წინადადებას უატომო ზონის შექმნის შესახებ ევროპაში, პირიქით, — ატომური იარაღით აიარაღებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტებს, თავიანთ ჯარებს გზავნიან განთავისუფლებისათვის მებრძოლი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ამწვავებენ დაძაბულობას შორეულ აღმოსავლეთში, არღვევენ ჩვენი საერთო მეგობრისა და ძმის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიასაც და სუვერენიტეტს.

იმპერიალიზმის ხრიკების გზაზე მძლავრი ალმშვიდობო დაბრკოლებაა ჩვენი სოციალისტური ბანაკი, დიდი საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთის, პოლონეთის და ევროპისა და აზიის ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობა და მეგობრობა. ვეყრდნობით რა ამ ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას, ჩვენ ერთად ყველაფერს გავაკეთებთ რომ დავიცვათ მშვიდობა და უზრუნველვყოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის შემდგომი გამარჯვება ჩვენს ქვეყნებში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, რომელიც 41 წლის მანძილზე, როგორც გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ანაცობრიობას უჩვენებს კომუნიზმის გზას—უკეთესი ბედნიერი ცხოვრების გზას.

მე ვსვამ მოძმე, სოციალისტური საქართველოს, მისი შემდგომი ყოველმხრივ აყვავების, სახელოვანი ქართველი ხალხის, მისი წარმატებებისა და ბედნიერების სადღეგრძელოს. დღეგრძელობას გისურვებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო ქართველო ამხანაგებო და მეგობრებო!

* * *

სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. კულჩინსკიმ.

ამხანაგ ს. კულჩინსკის სიტყვა

ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ვეწვიო თქვენს მშვენიერ ქვეყანასა და ვიყო თქვენს შორის, ქართველი ხალხის თვალსაჩინო ხელმძღვანელებსა და საუკეთესო წარმომადგენლებს — ჩვენს ძვირფას მეგობრებს შორის.

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ გულითადი სალამი პოლონელი ინტელიგენციისა და პოლონეთის მეცნიერთა სამყაროსი, დემოკრატიული პარტიისა, რომელიც მუშათა კლასთან და მის პარტიასთან ერთად მონაწილეობს სოციალიზმის მშენებლობაში.

ჩვენს სამშობლოს — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას მძლავრ საბჭოთა კავშირთან აერთიანებს გულითადი მეგობრობა, კავშირი და თანამშრომლობა. საბჭოების ქვეყანასთან ჩვენ გვაერთიანებს საერთო იდეები და მიზნები, საერთო შრომა სოციალიზმის აშენებისათვის და საერთო ზრუნვა მშვიდობისათვის. ჩვენი ხალხი აღტაცებს გრძნობით შეჰყურებს საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობის დარგში, მათ გმირობას, მათ ურყევ ნებას — დაიცვან მშვიდობა, საბჭოთა ხალხების უდიდეს ღონისძიებებს კულტურისა და მეცნიერების განვითარებისა და თანამედროვე ტექნიკური პროგრესის საქმეში.

შესანიშნავმა ქართველმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხალხების წარმატებებში. დიდი სიმპათიის გრძნობა, რომელსაც პოლონელი ხალხი განიცდის ქართველი ხალხისადმი, ჩვენი დიდი აღტაცება მისი მიღწევებით — ეს არის ფაქტორები, რომლებიც აღრმავებენ და განამტკიცებენ პოლონეთისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობას, მთელ პოლონეთს საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მიაჩნია თავის დიდ მიღწევად და მზად არის თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს მას. ჩვენ დიდად ვაფასებთ ძველ მეგობრობას, რომელიც ქართველ ხალხთან გვაერთიანებს და ვისურვებთ მის შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებას. გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, შემდგომ წარმატებებს და გვსურს, რომ ჩვენი ხალხი მიგაჩნდეთ გულითად მეგობრად და თანამებრძოლად ისეთი საერთო მიზნების განხორციელების საქმეში, როგორიც არის სოციალიზმი, პროგრესი და მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ნება მიბოძეთ წარმოგთქვა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის სადღეგრძელო!

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გულთბილი, მეგობრული შეხვედრები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან კვლავ მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანას, აერთიანებენ სოციალიზმის დიადი იდეალები, რომ ურღვევია საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა. ამხ. ჯავახიშვილმა წარმოთქვა სოციალისტური ბანაკის მძლავრი ერთიანობის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის სადღეგრძელო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა და პოლონელი ხალხები დარაზმული არიან მიზნებისა და მისწრაფებათა ერთობით, მოქმედებისა და ინტერესების ერთიანობით სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამხ. ჩუბინიძემ წარმოთქვა ხალხთა მტკიცე და ურღვევი მეგობრობის, ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებელი პოლონელი ხალხის აყვავების სადღეგრძელო.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ი. კირიჩენკომ. მან აღნიშნა, რომ ქართველმა ხალხმა გულწრფელი სტუმართმოყვარეობა გაუწია პოლონელ მეგობრებს, მთელი სულითა და გულით გამოხატა გულითადი სიყვარული და პატივისცემა მოძმე პოლონელი ხალხისადმი.

ამხ. კირიჩენკომ აღნიშნა, რომ მუდამ მტკიცდება და ვითარდება მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. საბჭოთა ადამიანებს ახარებთ გამარჯვებები, რომლებიც პოლონელმა ხალხმა მოიპოვა თავისი ნაცადი ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტურ მშენებლობაში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების, სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცების ინტერესებს ემსახურება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეგობრობის ვიზიტი საბჭოთა კავშირში.

ამხ. კირიჩენკომ დაახასიათა თვალსაჩინო წარმატებანი, რომლებითაც ეგებება ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავსა და პარტიის XXI ყრილობას. მან აღნიშნა, რომ შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში მოიპოვა დიდი წარმატებანი თავისი ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში. ეს არის პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი. კომუნისტურმა პარტიამ დარაზმა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით, საკუთარ აღმოფხვრა ეროვნული უთანასწორობა და ეროვნული უთანხმოება, უზრუნველყო სსრ კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამხ. კირიჩენკომ წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის, ქართველი ხალხის სადღეგრძელო, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში, დღეგრძელობა უსურვა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის კოველი ღონისძიებით განმტკიცებას.

საბჭოთა და პოლონელი ხელმძღვანელი მოღვაწეების გამოსვლები მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით და მრავალგზის შეაწყვეტინეს ტაშით. (საქმესი).

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

შარშანდელი მოხსენებითი კრებები

— ჩვენთან ეს ჩვეულებრივი ამბავია, დანიშნულ დროზე კრება იშვიათად იწყება.

— ამდენი ხალხის უსაქმოდ მოცდენა შეიძლება?

ასეთი საყვედურები ისმოდა ამბროლაურის რაიონის სოფელ მეორე ტოლის კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე მოსული კომუნისტებს მოეყარათ თავი.

კომუნისტები ნერვიულობდნენ. არანაკლები აღელვება ეტყობოდა რაიკომის წარმომადგენელს გ. ჯინჭარაძეს. მან აჩქარებით გადაკითხა პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოხსენება, შემდეგ კი დადგენილების პროექტის წერას შეუდგა.

როგორც იქნა, 6 საათსა და 40 წუთზე დაიწყო კრება. კრების თავმჯდომარე საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას პარტბიუროს მდივანს შ. შიშინაშვილს აძლევს. იგი უხალისოდ იღებს ხელში რვეულს ხუთ ფურცელზე დაწერილ მოხსენებას და იწყებს მის კითხვას.

— ეს ხომ შარშანდელი მოხსენებაა?! — ისმის ჩურჩული.

— ნამდვილად ასეა! ალბათ შეეშალა!

გამოირკვა, რომ შ. შიშინაშვილს არაფერიც არ შეშლია. მან მოხსენების მომზადებით, მისი წერით თავი არ შეიწუხა. გასული წლის უხეიროდ შედგენილი საანგარიშო მოხსენება გადმოწერა, ზოგიერთ ადგილას გვარები შეცვალა და კომუნისტების წინაშე შარშანდელი მოხსენებით წარსდგა.

რა თქმა უნდა, მოხსენებამ კრების მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა.

ამ კრებაზე ერთხელ კიდევ იჩინა თავი პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებთან რაიკომის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ფაქტმა. ერთი წელია, რაც შ. შიშინაშვილი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას ხელმძღვანელობს. თავდაპირველად, როცა მდივნის მოვალეობა დააკისრეს, იგი ფიქრობდა, რომ მას დახმარებას გაუწევენ, მაგრამ ასე როდი მოხდა. დრო გადიოდა, და არც კონკრეტული დახმარება ჩანდა, არც მომთხოვნელობა. ამან პარტიული მუშაობის მოდუნება გამოიწვია.

კამათში სიტყვით გამოსულმა ზოგიერთმა კომუნისტმა რამდენადმე შეავსო საანგარიშო მოხსენების სტრიქონებზე ნაჩანი ხარვეზები. გ. ლომთათიძე განაცხადა, რომ პარტიული ორგანიზაცია სათანადო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობის გამგეობა-ბუღალტერიას. რ. ლომთათიძე და მ. ტყეშელაშვილმა ილაპარაკეს მეცხოველეობის ჩამორჩენაზე. გასულ წელს კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა წველადობის დავალება. მდგომარეობა წელსაც როდია სახარბიელო, ცხრა თვეში აქ თვითეულ ძროხაზე მიღებულია 546,5 ლიტრი რძე, წლიური გეგმა კი 700 ლიტრს ითვალისწინებს. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია პირუტყვისათვის მტკიცე საკვებბაზის უქონლობა. როგორც მ. ტყეშელაშვილმა განაცხადა, აქ საკვების დამზადებას არ აქცევენ ყურადღებას. კოლმეურნეობას დღემდე არ შეუსრულებია საკვების დასილოსების დავალება, ხოლო რაც დასილოსებულია, ისიც უხარისხოა. არ კმარა პირუტყვის სადგომები.

კრებაზე არაფერი თქმულა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიც არის შესრულების შემოწმება, კომუნისტების პოლიტიკური განათლება და მათი ავანგარდული როლი.

ყოველივე ეს არ მოხდებოდა, პარტიის ამბროლაურის რაიკომი უკეთ, კონკრეტულად რომ ხელმძღვანელობდეს ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობას პარტიულ ორგანიზაციებში.

ვ. ციბერკაძე,
„კომუნისტის" ხაკ. კორესპონდენტი

გუმათოესის მეორე აგრეგატი

ქუთაისი. (საქდესი). 28 ოქტომბერს, 72 საათის გამოცდის შემდეგ, ექსპლოატაციოდ გადაეცა გუმათის პირველი ბესის მეორე აგრეგატი. აგრეგატი ჩართულია „საქენერგოს" სისტემაში.

გუმათის ბესის მშენებელთა და მონტაჟეთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უახლოეს დღეებში აამუშაოს მესამე აგრეგატი.

მეტი ქვანახშირი

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ მომავალი XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ოქტომბერში ყველაზე კარგად იმუშავა გელათის შახტმა (უფროსი ნ. ციცვაია). 106,5 პროცენტი — ახლოია აქ ოქტომბრის პირველი ორი დეკადის საწარმოო მაჩვენებელი. გელათელებმა ამ დღეებში გადასინჯეს წინათ აღებული ვალდებულებანი და გადაწყვიტეს ქვანახშირის ამოღების წლიური დავალება შეასრულონ ოცდახუთი დღით ადრე. სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ დიდძალი ენერგეტიკული ქვანახშირი.

სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა (უფროსი მ. კიკვაძე). აქ წელს დავალების გადამეტებით 5.000 ტონაზე მეტი ქვანახშირს ამოიღებენ, ხაქესპლოატაციოდ გადასცემენ ახალ სამთო უბანს.

ორ-სამ ნორმას ანაღდებენ

ხაშური. (საკ. კორ.). აგურის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც მადალნაყოფიერად შრომობს პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, 15 ოქტომბერს შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ახლა ქარხნის კოლექტივი 1959 წლის ანგარიშში უშვებს აგურს. მეაგურეებმა ცხრა თვეში შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გაზარდეს, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 1,5 პროცენტით შეამცირეს. შრომაში თავი გამოიჩინეს დ. ნიორაძემ, ვ. ხაჩიძემ, ნ. ღონღლაძემ და ე. გელაშვილმა, რომლებიც ყოველდღიურად 2-3 ნორმას ანაღდებენ.

ლიანდაგზეა კომკავშირული ელექტრომავალი

ელმავალმშენებელი ახალგაზრდების ზეიმი

გუშინ დიდი ზეიმი ჰქონდათ ელმავალსამშენებლო ქარხნის კომკავშირელ ახალგაზრდებს: ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად მათ მიერ გაკეთებული და 29 ოქტომბერს საცდელ რეისში გაშვებული რვადერძიანი, მძლავრი სამაგისტრალო ელექტრომავალი გამოცდის ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ ქარხანაში დაბრუნდა.

კომკავშირული ელმავალმშენებლებისათვის ამ მნიშვნელოვანი პატრიოტული შრომითი გამარჯვების მისალოცავად მოვიდნენ მეზობელ საწარმოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მოვიდნენ აგრეთვე თბილისში ჩამოსულ რიგელ ახალგაზრდათა დელეგაციის წევრები, რაიონული, საქალაქო და რეპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მეშაკები.

გაიხსნა მიტინგი. საქარხნო კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. გოგიჩაიშვილმა ქარხნის კომკავშირელებს და ყველა ახალგაზრდა ელმავალმშენებელს მიულოცა საუბრიანი შრომითი გამარჯვება — კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად მძლავრი, რვადერძიანი სამაგისტრალო ელექტრომავლის უდეფექტოდ გამოშვება.

სიტყვა ეძღვნა ქარხნის დირექტორს ამხ. ი. ზერეკიძეს. მან დამსწრეთ მოუთხრო იმ შრომითი თავდადებისა და პატრიოტული ენთუზიაზმის შესახებ, რომელიც ამ ელექტრომავლის გამოშვებაში გამოიჩინეს კომკავშირელი ელმავალმშენებლების მოწინავე წარმომადგენლებმა, როგორიც არიან ოსტატი გ. კერესელიძე, ელმავალმწყობები — ფ. ქაშიპაძე, რ. ჩაჩუა, გ. ფილატოვი, გ. პიპინაშვილი, ა. მიქაძე და სხვ.

მხურვალე მილოცვის-სიტყვები წარმოთქვეს ელმავალმწყობი კომკავშირელი მუშების სახელით გ. ელიზარაშვილმა, უფროსი თაობის ელმავალმშენებლების სახელით — ა. ფიშერმა, რიგელ ახალგაზრდათა დელეგაციის სახელით — ქალაქ რიგის ქარხანა „ვეფშ"-ის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ხასიანუმ. კომკავშირელ ელმავალმშენებლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ალჯარავამ, რომელმაც საქართველოს სახელოვანი დედაქალაქის — თბილისის ყველა კომკავშირელის სახელით მხურვალე მადლობა გამოუცხადა მათ დიდებების შარავანდედით მოსილი კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად კომკავშირული ელექტრომავლის გამოშვებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა ამ მნიშვნელოვანი შრომითი გამარჯვების შესახებ პატაკით მიმართეს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

მიტინგი დამთავრდა. საამქროს უზარმაზარ კორპუსში გაისმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მელოდია და შემდეგ — ახალი ელექტრომავლის მძლავრი საყვირის მჭექარე ხმა.

ელექტრომავლის მემანქანემ ვ. ბერუაშვილმა მძიმედ დასძრა კომკავშირული ელმავალი გასასვლელისაკენ. ტაშის გრიალით გააცილეს მიტინგის მონაწილეებმა ახალი ელექტრომავალი, რომელსაც ამშვენებს თბილისური მარკა და დიდი ასოებით გაკეთებული ოქროსფერი ქართულ-რუსული წარწერა:

„ლენინური კომკავშირი 40 წლისაა".



ძოწანაკეი ელექტრომავალმშენებელი ახალგაზრდები (მარცხნიდან): გ. ჩადუნელი, ი. ქაშიპაძე, ფ. კორინთელი, ფ. ბეჟუაშვილი, ნ. გოლიკოვა, ვ. მარუგინი, ა. კევლიშვილი, ა. ფიშერი, ა. ნერგაძე, ა. სოზაშვილი, ი. ზამბახიძე და გ. გუგუნაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ყალბისმქმნელები

...გენერა სანიკიძეს სოფელ კი-...ვში (ვანის რაიონი) იცნობენ ...გორც პატიოსან და თავდადე-...ულ მუშაკს. იგი სასოფლო კლუ-...ს გამგეა. დაკისრებულ მოვა-...ობას კეთილსინდისიერად ას-...ულებს, მისი მუშაობით კმაყო-...ილი არიან სოფლის მშრომე-...ები. საყვედურს არც რაიონის ...ლტურის განყოფილებაში გა-...თქვამენ. გენერას საქმიანობით ...მაყოფილო იყო და არის მხო-...ოდ ერთი კაცი — კიროვის სა-...ფლო საბჭოს აღმასკომის თავ-...დომარე დავით ქარჩხაძე, რო-...ლმაც იგი რატომღაც აითვალ-...ნა.

— სამუშაოდან მოგხსნი, არ ...გახარებ, — იმუქრებოდა თავ-...დომარე კლუბის გამგეს.

...ვ. სანიკიძემ სასოფლო საბჭოს ...მასკომის თავმჯდომარის უტაქ-...ო საქციელის გამო განცხადე-...თ მიმართა პარტიის ვანის რაი-...მს, თანაც 22 მარტს გამართულ ...რტიის ვანის რაიკომის პლე-...ზე, სადაც კულტურულ-საგან-...ათლებლო დაწესებულებათა ...უშაობაზე იყო ლაპარაკი, დ. ...რჩხაძე მკაცრად გააკრიტიკეს. ...იან ღამით, როცა განაწყენებუ-...ი თავმჯდომარე სოფელში და-...ბ-...ნდა, სასოფლო საბჭოს აღმას-...მის ფიქციური სხდომის ოქმი ...ადგინა, თითქოს კლუბის გამ-...ს ვ. სანიკიძის მუშაობის შესა-...ებ იმსჯელეს და მის მიმართ ...ადწყვეტილება" მიიღეს, ...ლუბის გამგე გაკიცხეს(!). მაგ-...ამ ქარჩხაძემ მიზანს ვერ მიაღ-...ა.

...ამ „წვრილმან" თაქტებზე არ ...ეჩერდებოდით, დ. ქარჩხაძის ...უშაობაში სხვა უმსგავსებანიც ...ომ არ იყოს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის ...ავმჯდომარემ დ. ქარჩხაძემ და ...სმა ერთგულმა აღმასკომის ...დივანმა დ. სანიკიძემ სახე-...ი გაითქვეს როგორც ყალთაბან-...ებმა და ყალბისმქმნელებმა. ...ითაც დაკარგეს ავტორიტეტი ...ოსახლეობაში. ისინი უყურად-...ებოდ ტოვებენ მოსახლეობის ...ითხოვნილებებს და საჭიროე-...ებს, სხვადასხვა მაქინაციის ...ზით გამოძალვას იწვევენ სოფ-...ის მშრომელებისაგან.

შარშან სასოფლო საბჭოს მდი-...ანმა დ. სანიკიძემ მოქალაქე თ. ...ალახაძეს ისე გამოართვა 250 ...ანეთი სასოფლო-სამეურნეო გა-...ასახადის ანგარიშის დასაფარა-...ად, რომ ქვითარი არ გამოუწე-...ია. ორი თვის შემდეგ, როცა თ. ...ტალახაძემ რაიონის საფინანსო განყოფილებისაგან ცნობა მიიღო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, სასოფლო საბჭოს მდივანმა თანხის დაბრუნებაზე უარი უთხრა და ასეთი პასუხით გაისტუმრა: სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან შენი განთავისუფლების საქმე ჩვენ გავაკეთეთ და ფულს რისთვის დაგიბრუნებო(!).

დ. სანიკიძემ ამავე საბაბით 700 მანეთის ჩალა წაგლიჯა მოქალაქე ნ. ალდიაშვილს.

სასოფლო საბჭოს მდივანმა თავისი ნათესავი ვასილ მებურიშვილი მამის — იოვილ მებურიშვილის კომლიდან ამოწერა და ორმა მოხუცი პაპის იუსტინე კაპანაძის კომლში ჩაწერა ამ უკანასკნელის სახელზე რიცხული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის შენარჩუნების მიზნით. საქმის „მოჭახრაკების" საზღაურად დ. სანიკიძემ 12 ფუთი ღვინო მიიღო.

ამბობენ, სასოფლო საბჭოში გამორჩენის მიზნით ყალბ ცნობებს ადგენენო. ჩვენ მხოლოდ ერთი ფაქტის დადგენა მოვახერხეთ. 1958 წლის 8 მარტს დ. ქარჩხაძემ და დ. სანიკიძემ სოფელ კიროვში მცხოვრებ თ. თათელიშვილს მისცეს ყალბი ცნობა, რომ მისი შვილი გულადი ნიკოლოზის-ძე თათელიშვილი თითქოს დაბადებული იყოს 1942 წლის 5 ოქტომბერს და არა 1939 წელს. ვანის რაისაბჭოს აღმასკომის მმაჩის ბიურომ და წლოვანების დამდგენმა საექიმო კომისიამ ამ ცნობის საფუძველზე გასაცეს დაბადების მოწმობა. თ. თათელიშვილმა ვაჟიშვილის დაბადების ახალი მოწმობა რაიაღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას წარუდგინა. „მცირეწლოვანი" შვილის გამო სახელმწიფო პენსიის მიღების ვადა გაუგრძელეს და ამ გზით შემოწმების დრომდე უკანონოდ მიიღო 1.632 მანეთი. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ყალბი ცნობისათვის 600 მანეთი აიღო. ბრალდებისაგან დ. ქარჩხაძის ხსნის მიზნით სასოფლო საბჭოს მდივანმა დ. სანიკიძემ „გულახდილობა" გამოიჩინა და განაცხადა: — ყალბი ცნობა მე გავეცი, თავმჯდომარის მაგივრად ხელი მე მოვაწერეო.

ყალბისმქმნელები უნდა დაისაჯონ.

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული ...ერილი „ასილოსებენ მხოლოდ დად-...ენლებებს".

საქართველოს კპ ახალციხის რაიკო-...ის ბიურომ წერილში მოყვანილი ფაქ-...ები სწორად ცნო. სილოსის დამზადე-...ის გეგმების შესრულებისადმი გულ-...ილი დამოკიდებულებისათვის ახათხე-...ის კოლმეურნეობის გამგეობის თავ-მჯდომარეს ამხ. მარქარიანს გამოეცხადა საყვედური, სოფლების წოხტევის, სვირის, ტატანისის, წყრუთის, ქვემო სხვილისის, მუგარეთის და ზიკილიის კოლმეურნეობების გამგეობების თავმჯდომარეებს მიეთითათ, მიღებულია ზომები სილოსის დამზადების გეგმების შესასრულებლად.

ყველა რესპუბლიკიდან...

თბილისში 27 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო დაბალი ტემპერატურების ფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილმა V სრულიად საკავშირო თათბირმა.

თათბირში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა 200-მდე ფიზიკოსი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან, მათ შორის აკადემიკოსები პ. ლ. კაპიცა, ი. ვ. ობრეიმოვი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები ა. ი. შალნიკოვი, ვ. ლ. გინზბურგი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ვ. ლაზარევი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ი. ბ. ლიშევიცი, პროფესორები ნ. ე. ალექსეევი, ვ. პ. პეჩკოვი და სხვ.

თათბირი გახსნა აკადემიკოსმა პ. ლ. კაპიცამ.

ჩატარდება 5 პლენარული და 2 სექციური სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნება დაბალი ტემპერატურის ფიზიკის აქტუალური პრობლემები.

საქართველოდან მოხსენებებს წაიკითხავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი, პროფესორი გ. ხუციშვილი, ფიზიკოსები გ. გამცემლიძე და თ. სანაძე.

თბილისში ყოფნის დროს ჩამოსული მეცნიერები დათვალიერებენ ქალაქის დირსშესანიშნავ ადგილებს, მუზეუმებს, დაესწრებიან თბილისის თეატრების სპექტაკლებს და წვავლენ ექსკურსიით მცხეთასა და ფასანაურში.

* * *

სურათზე: დაბალი ტემპერატურის ფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი V სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. ცენტრში: აკადემიკოსები პ. ლ. კაპიცა და ი. ვ. ობრეიმოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მუხრანელები

მუხრანი უძველესი და ულამაზესი სოფელია, მდიდარი, მშვენიერი და უფრო დიდი მომავლის მქონე. საკოლმეურნეო შრომამ ფერი უცვალა მუხრანს, კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა იგი.

მუხრანის საშუალო სკოლის ათასიან კოლექტივსაც როდი შეუძლია განზე ედგას ამ მჩქეფარე საკოლმეურნეო შრომას. მათ კარგად იციან, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების მთავარი პირობაა შრომა, სახელავლო პროცესისა და საწარმოო შრომის შერწყმა ერთმანეთთან. ამიტომ არის ამ სკოლის ეზო ასე აყვავებული, ნარიფერი ყვავილებით შემკული, მზრუნველად მოვლილი. აქ ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს ეტყობა პატრონის ხელი, აქ ყველაფერში იგრძნობა დაუზარელი ადამიანის შრომა. — ყველაფერი ეს, —გვეუბნება სკოლის დირექტორი ვახტანგ გიორგაძაშვილი, — მოსწავლეების ნახელავია.

ორი კოლმეურნეობაა სოფელ მუხრანში — სტალინისა და კალინინის სახელობისა, მუხრანის საშუალო სკოლა მათი საქმეების მუდმივი მონაწილეა. სკოლამ მარტო წელს კოლმეურნეობების 70 ჰექტარ ფართობზე აიღო სიმინდის მოსავალი, ჩადო 85 ტონა სილოსი, მოკრიფა 30 ტონა ვაშლი, აიღო 20 ტონა პამიდორის მოსავალი. როცა მუხრანელები რიაზანის ოლქის ერმიშის საშუალო სკოლის მოწოდებას გაეცნენ, მათ ბევრი რამ უკვე გაკეთებული ჰქონდათ ერმიშელთა მაგალითის სამებრ. სოფლის გამწვანებასა და კეთილმოწყობისათვის ზრუნვა, საკოლმეურნეო შრომაში, მოსწავლეთა აქტიური ჩაბმა ყოველთვის მთავარი ამოცანა იყო მათთვის.

წელს არდადეგების პერიოდში სკოლამ 18 გარმი აბრეშუმის ჭია გამოკვება და სახელმწიფოს 45 კილოგრამი ხარისხიანი პარკი ჩააბარა. საკოლმეურნეო მინდვრებზეც ბევრი იშრომეს გოგონებმა და ვაჟებმა, მაგრამ ამგვარი შრომა მაინც ეპიზოდური ხასიათის ატარებს, ამიტომ გადაწყვიტეს სკოლაში ჩამოაყალიბონ თავიანთი საკუთარი კოლმეურნეობა. კალინინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოუყვეს სკოლას. ამ ნაკვეთიდან 16 ჰექტარზე სიმინდს მოიყვანენ ახალგაზრდები, 10 ჰექტარზე სხვადასხვა ჯიშის ხორბალს, ხოლო 4 ჰექტარი ბოსტნეულ კულტურებს დაათესავენ. სკოლა-კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მასწავლებელი ვასილ რუსაშვილი დანიშნეს იგი ადრე კალინინის სახელობის კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა, სამამულო ომში ნაწილობს, შრომაში გამობრძმედილ ვასილს ეყოფა გამოცდილებაც და ცოდნაც, რომ მოსწავლეთა ამ შრომითი აღზრდის სკოლას უხელმძღვანელოს.

ამგვარი შრომისათვის საჭირო თვისებებს სკოლაშივე იძენენ ახალგაზრდები. აგრობიოლოგიური, ქიმიკოსთა, მანქანა-ტრაქტორთა შემსწავლელი და სხვა წრეები, რომლებიც სკოლაში მუშაობენ, საფუძვლიან ცოდნას აძლევენ მოსწავლეებს, პრაქტიკით განამტკიცებენ მათს თეორიულ მომზადებას. საშინაკლო სახელოსნოში მათთვის ყოველგვარი საშუალებაა თავმოყრილი, რომ რთულ მანქანა-იარაღთა მართვისა და მოვლა-პატრონობის წესებს დაეუფლონ. მალე სკოლას ექნება სადურგლო სახელოსნო, დასრულდება ჟგრეთვე სკოლის სათბურის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სკოლაში ბოსტნეული კულტურების მოყვანის საქმეს. მუხრანელებს არც მეფრინველეობა და მეკურდღლეობა გამორჩენიათ მხედველობიდან. და ყველაფერი ეს მარტო სკოლის შემოსავლისათვის როდია საჭირო, როცა მუხრანის საშუალო სკოლა საქართველოს ყველა სკოლას მოუწოდებს ღირსეულად შეხვდნენ შობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, მათ კარგად იციან, რომ ეს უპირველეს ყოვლისა ისევ მოსწავლეთათვის მოიტანს ულამაზეს შედეგებს — მოსწავლეები, რომლებიც სკოლას დაამთავრებენ, ცხოვრებაში უკვე გამოწრთობილნი, სათანადო შრომითი ჩვევებით შეიარაღებენ.

მუხრანელების საქმეები მოწონების, მხარდაჭერისა და მიბაძვის ღირსია.

ტ. ბანტურია.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ა. წ. 20 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებმა მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოგზავნეს ანალოგიური ნოტები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ყენევის თათბირის შესახებ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე.

30 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის ანალოგიური შინაარსის საპასუხო ნოტები.

სსრ კავშირის მთავრობის ნოტაში დადასტურებულია საბჭოთა მთავრობის პოზიცია ყენევის თათბირის შესახებ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე, პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო, კერძოდ, საბჭოთა კავშირის 30 აგვისტოსა და 1 ოქტომბრის ნოტებში. ეს პოზიცია გამოიხატება იმით, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ყენევის მომავალი თათბირის მიზანი უნდა იყოს შეთანხმების დადება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ ასეთი შეთანხმების შესრულებისადმი საათანადო კონტროლის დაწესებით.

საბჭოთა მთავრობას, ნათქვამია ნოტაში, სურს იქონიოს, რომ მოლაპარაკებას, რომელიც 31 ოქტომბერს იწყება ყენევაში, შედეგად მოჰყვება ყველა სახელმწიფოს მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტა. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რაც მასზე დამოკიდებულია, ამ მიზნის მისაღწევად.

საბჭოთა მთავრობას სამწუხაროდ მიაჩნია, რომ მის წინადადებას ყენევაში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე თათბირის მოწყობის შესახებ არ დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ. საბჭოთა მთავრობა კვლავ ფიქრობს, რომ მინისტრთა დონეზე თათბირის მოწყობა ყველაზე კეთილსასურველ შესაძლებლობებს შექმნიდა იმისათვის, რომ მიღწეულიყო შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში. მაგრამ, მხედველობაში იღებს რა ამერიკის საელჩოს ნოტაში გამოთქმულ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პრინციპულ მზადყოფნას გაგზავნოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მოლაპარაკების გარკვეულ სტადიაზე ყენევაში, საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა უფრო გვიან ეტაპზე მონაწილეობა მიიღონ თათბირის მუშაობაში, რაც, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საერთო შეთანხმების უსწრაფესად მიღწევას.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნოტაში, რომელიც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიღებულია 20 ოქტომბერს, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინანდელ ნოტებში, რომლებიც ყენევის მოლაპარაკებას შეეხებოდა, ნათქვამია, რომ ეს მოლაპარაკება უნდა მიეძღვნას ატომგულის იარაღის გამოცდის შეჩერების და არა შეწყვეტის საკითხს. ამ ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ყველაგან შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევას ყველაზე უკეთესად მიიჩნევს მთელი რიგი პირობების წინასწარ შესრულებას.

საოქტომგრო გამოფენა

ყარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-41 წლისთავისადმი.

გამოფენის პირველი განყოფილება — „ბოლშევიკების პარტია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია" — იხსნება ფოტოსურათით „ლენინის ჩამოსვლა რუსეთში". აქვეა დიდი ლენინის შრომები „წვრილები შორიდან", „მარქსიზმი და აჯანყება", „ორხელისუფლებიანობის შესახებ", ი. ბ. სტალინის „ოქტომბრის გადატრიალება" და სხვ.

საინტერესო ექსპონატებია განყოფილებებში — „ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება", „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში", „საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში" და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა".

ინგლისური გაზეთის „დეილი მირორის" რედაქტორი ჰუბერტ კადლიკი ა. მამაკავარიანის ბალეტის „ოტელოს" შესახებ

30 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სპექტაკლ „ოტელოს" დაესწრო ინგლისური გაზეთის „დეილი მირორის" რედაქტორი ჰუბერტ კადლიკი მეუღლითურთ.

თეატრის ადმინისტრაციასთან საუბარში ისინი აღტაცებით ლაპარაკობდნენ სპექტაკლზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ გამოხმაურებას, რომელიც მათ ჩაწერეს თეატრის შთაბეჭდილებათა წიგნში ბალეტის შესახებ:

„ლონდონიდან საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა ჯერ მარტო იმიტომაც ღირდა, რომ საქართველოში ვნახეთ შესანიშნავი ბალეტი „ოტელო". ამ სპექტაკლის მონაწილენი რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოვიდნენ ლონდონში მთელი დასით. ჰაბუკიანი გენიალურია. ჰუბერტ კადლიკი — გაზეთ „დეილი მირორის" რედაქტორი, ლონდონი. 1958 წლის 30 ოქტომბერი".

გმირულ სიცოცხლეზე

ნაშრომი ს. მ. კიროვის მოღვაწეობაზე ამიერკავკასიაში

...უკანასკნელ პერიოდში დიდი ...ურადღება ექცევა კომუნისტუ-...ი პარტიის გმირული ისტორიის ...ალკეული საკითხების დამუშავე-...ას. საბჭოთა ისტორიკოსებმა ამ ...ხრივ მნიშვნელოვან წარმატე-...ას მიაღწიეს და ბევრი საინტე-...ესო შრომა გამოაქვეყნეს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ...არის სპეციალური შრომა, ...ომელიც ამუქებდეს კომუნის-...ური პარტიის და საბჭოთა სა-...ელმწიფოს გამოჩენილი მოღვა-...ის, ვ. ი. ლენინის ერთგული მო-...აფიისა და თანამებრძოლის, რე-...ოლუციის მგზნებარე ტრიბუნის ...ს. მ. კიროვის მოღვაწეობას ამი-...ერკავკასიაში 1920-1925 წლებში.

ამიერკავკასიაში ამ მგზნებარე ...ოლშევიკის სახელოვან მოღვა-...ეობაზე მოგვითხრობს ა. მორ-...ოშიას წიგნი, რომელიც საქა-...ველოს კომპარტიის ცენტრა-...ული კომიტეტის გამომცემლო-...ამ კ. ლოლაძის რედაქტორობით ...ალახან გამოსცა.

ნაშრომში გამოყენებულია ...არქივო მასალები და დო-...უმენტები, რომლებიც ინა-...ება სკკპ ცენტრალურ კომიტეტ-...ან არსებული მარქსიზმ-ლენინ-...ზმის ინსტიტუტის არქივში, ამ ...ნსტიტუტის საქართველოსა და ...ზერბაიჯანის ფილიალების არქი-...ებში, საქართველოს სსრ ოქ-...ომბრის რევოლუციისა და ცენტ-...ალურ სახელმწიფო არქივში, ...რდელოდ ოსეთის ქ. ორჯონი-...ძის კიროვის სახელობის მუზე-...უმში, ბაქოს კიროვის სახელობის ...უზეუმში და სხვ. და რომლებიც ...ერველად იგვიანდება წიგნში.

ა. მორგოშიას წიგნი შედგება ...ოთხი წონასიტყვაობისა და სამი თა-...ისაგან. წიგნის პირველ თავში ...და მეორე თავის ერთ ნაწილში ...ავტორი ფართოდ განიხილავს ...ს. მ. კიროვის გმირობით აღსავსე ...ოღვაწეობას სამოქალაქო ომის ფრონტზე ჩრდილოეთ კავკასიასა და ასტრახანში. საინტერესო ფასალებს შეიცავს წიგნის ის ნაწილი, სადაც ნათლად მოცემულია ი. ბ. სტალინთან, ს. კ. ორჯონიკიძესთან ერთად ს. მ. კიროვის თავდადებული შრომა მე-11 არმიის ნაწილების ბრძოლისუნარიან მდგომარეობაში მოსაყვანად, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ლენინგრადისა და მურმანის ბოლშევიკებისათვის პოლიტიკური ლიტერატურით, ფულითა და იარაღით დახმარების გასაწევად. 1919 წლის აპრილში აქ გაფთრებული ბრძოლების შედეგად საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ასტრახანში ს. მ. კიროვი პარტიის დავალებით გიგანტურ მუშაობას ეწეოდა. სისტემატიური კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიაში არალეგალურად მომუშავე პარტიულ ორგანიზაციებთან, პირადად იღებდა ბაქოდან და პეტროვსკიდან არალეგალურად მომუშავე ამხანაგებს, რომლებიც დიდი რისკით, კასპიის ზღვით სათევზაო ნავებით ფარულად ჩადიოდნენ ასტრახანში.

სამოქალაქო ომის უაღრესად მძიმე პერიოდში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა საწვავის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, ვ. ი. ლენინი კიროვისაგან ითხოვდა მიეღო ყოველგვარი ზომები ბაქოდან და სხვა პუნქტებიდან საწვავის გასატანად. წიგნში მოყვანილი მრავალი ფაქტი და დოკუმენტი იძლევა იმის ნათელ სურათს, თუ როგორ იბრძოდა ს. მ. კიროვი დიდი ბელადის დავალებათა უსწრაფესად შესრულებისათვის.

ავტორი კონკრეტული ფაქტებით თანმიმდევრულად და დამაჯერებლად გადმოგვცემს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ს. მ. კიროვის იმ სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, რასაც იგი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ბოლშევიკებს უწევდა როგორც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ისე სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით დიდი ინტერესით იკითხება წიგნის ის ნაწილი, რომელიც ეხება ს. მ. კიროვის მოღვაწეობას მენშევიკურ საქართველოში.

ს. მ. კიროვი ლენინური საგარეო პოლიტიკის მტკიცე და თანმიმდევარი გამტარებელი იყო. ის სასტიკად ებრძოდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, ნიღაბს ხდიდა და მზის სინათლეზე გამოჰქონდა საზიზღარი სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც ქართველი მენშევიკები და მათი პრესა ავრცელებდნენ საბჭოთა რუსეთის შესახებ, გაბედულად ამხელდნენ მენშევიკთა მხეცობას, რომლებიც ყოველგვარი საშუალებებით უშლიდნენ ხელს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას, სდევნიდნენ და აპატიმრებდნენ კომუნისტებს, ხოვრავდნენ მათს გაზეთებს და სისხლში ახშობდნენ საქართველოს ჭშრომელთა სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ს. მ. კიროვი კავკასიაში ეწეოდა დიდ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას. ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობისა და მიმდინარე მომენტის აქტუალურ საკითხებზე. 1921 წლის 19 ივნისს კიროვი ხელმძღვანელობდა კომკავშირის თბილისის პირველ ლეგალურ კონფერენციას, სადაც იგი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ. კიროვი ფ. მახარაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა საქართველოს კპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის პირველ ლეგალურ კონფერენციას. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პროფკავშირთა პირველი კონფერენციის მუშაობაში, ასევე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმების მომზადებასა და ჩატარებაში. ნაშრომში ნაჩვენებია ის როლი, რომელიც შეასრულა კიროვმა ქართველ კომუნისტებთან ერთად ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

ს. მ. კიროვის დამსახურების შესახებ ს. ორჯონიკიძე კ. ე. ვოროშილოვის სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „ძვირფასო კლიმენტ ეფრემის-ძეო! წითელი არმიის ათი წლისთავისათვის შენ აპირებ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოო სამოქალაქო ომის ჩვენი საუკეთესო მებრძოლნი. ჩვენს ქვეყანაში ისინი მილიონობით არიან, ყველას ვერ გავიხსენებ, შენს გასახსენებლად ვასახელებ შემდეგ ამხანაგებს: ს. მ. კიროვს (შენ მას ჩემზე ნაკლებად არ იცნობ, მაგრამ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას იმის შესახებ). ს. მ. კიროვი ასტრახანის ალყის დროს ის პირი იყო, რომელიც აღადგენდა ქვეყანისაგან მოწყვეტილ ასტრახანის დამცველებს.

1920 წელს კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით ამხ. კიროვმა დაძრა ჯარი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. 1921 წელს ჩვენ მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ მივდიოდით, ამხ. კიროვი, თვითონ მიუძღოდა ჯარს მამისონის უღელტეხილზე, საიდაც გზას იკაფავდა 1-1,5 საჟენის სიღრმის თოვლში. მხოლოდ ამხ. კიროვის იქ ყოფნას შეეძლო აღეფრთოვანებინა თითქმის ნახევრად ტიტეული და ფეხშიშველი წითელარმიელები ასეთი საგმირო საქმისათვის“.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კიროვის დამსახურება საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე. სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა ქვეყნის დაცვისა და წითელი არმიის მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ს. მ. კიროვი ოჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

წიგნის მესამე თავი მიძღვნილია ს. მ. კიროვის მოღვაწეობისადმი ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ 1921 წლის ივლისიდან 1926 წლის იანვრამდე ს. მ. კიროვი სათავეში ედგა აზერბაიჯანის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მისი ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის მშრომელებმა აღადგინეს ბაქოს ნავთობის მრეწველობა, დიდი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების აღდგენისა და განვითარების საქმეში. აღნიშნული შრომის ავტორი არაერთ საინტერესო მასალას იძლევა 1921-22 წლებში რუსეთის მშრომელების იმ ძმური დახმარების შესახებ, რასაც ისინი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში უწევდნენ ამიერკავკასიის ხალხებს.

სარეცენზიო ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს ს. მ. კიროვის და ს. კ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ი. ბ. სტალინთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიდგარ და პრინციპულ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის. ავტორი ნათლად გვიხატავს ს. მ. კიროვს, როგორც ერთ-ერთ თვალსაჩინო, მტკიცე და თანმიმდევარ მებრძოლ ლენინელს, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ს. მ. კიროვი განუხრელად იცავდა და ახორციელებდა ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, ულმობლად იბრძოდა როგორც ტროცკისტების, ისე ვულიკორუსული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებების წინააღმდეგ. აკრიტიკებდა რა აზერბაიჯანის ნაციონალისტების მცდარ შეხედულებებს ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხებში, 1922 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის პარტიულ კონფერენციაზე კიროვი ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ როგორ მოშხამეს ნაციონალისტურმა პარტიებმა მშრომელი მოსახლეობა, და იქვე მიუთითებდა: „ამ შხამის ნაშთი უნდა მოვსპოთ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის მეშვეობით საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ოჯახში ჩვენ უნდა შევიდეთ როგორც ამიერკავკასიის ძმური კავშირი“.

ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი კიროვის ბრძოლას ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შორის ლენინური ერთიანობის განმტკიცებისათვის და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა პარტიის რიგებში შეეტანა რყევა და უნდობლობა, შეეცვალა ლენინიზმი ტროცკიზმით.

სარეცენზიო ნაშრომი, რასაკვირველია, არ არის უნაკლო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი თავი მთლიანად და მეორე თავის დიდი ნაწილი ეხება კიროვის მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიასა და ასტრახანში. ჩვენი აზრით ამ საკითხებზე ასე ვრცლად მიჩერება არ იყო საჭირო. მათ შესახებ საკმარისი იქნებოდა თქმულიყო წინასიტყვაობაში ანდა მოკლედ მეორე თავში. ნაშრომში ვხვდებით აგრეთვე ცალკეულ არაზუსტ ადგილებს, გამორიბებს, რომლებიც შესწორებას საჭიროებენ. წიგნი გამართული ქართული ენით, საქმის ცოდნით, სიყვარულით არის დაწერილი და ხალისით იკითხება. დასახელებული შრომა უდავოდ სასარგებლო წიგნია, რომლის რუსულად გამოცემა კარგი საქმე იქნება როგორც ისტორიოსებისათვის, ისე ფართო მკითხველისათვის.

ლ. ბარამია,
ძ. ივანიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გამოაცხადა ღია კონკურსი მისაბმელი კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებისათვის საუკეთესო კონსტრუქციის კვანძების შემუშავებაზე.**

კონკურსის მიზანია კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის მოზიდვა „ს-6“ და „რსმ-8“ მისაბმელი კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებისათვის საუკეთესო კონსტრუქციის კვანძების შესაქმნელად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სამრეწველო საწარმოებს, ქარხნებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების საკონსტრუქტორო ბიუროებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს.

კონკურსის პირობებით გათვალისწინებულია შემდეგი ტექნიკური მოთხოვნები:

1. კვანძებისა და დეტალების კონსტრუქციამ უნდა უზრუნველყოს თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებული „ს-6“ და „რსმ-8“ კომბაინების საიმედო მუშაობა მარცვლეული კულტურების მოსავლის ცალ-ცალკე აღებისას ღვარეულებიდან პურის შეგროვებასა და გალეწვაზე.

2. სამარჯვები რაც შეიძლება მარტივი უნდა იყოს მოწყობილობის მიხედვით და არ მოითხოვდეს ლითონისა და ფულადი სახსრების დიდ ხარჯებს მათ დამზადებაზე.

3. მისაბმელი კომბაინების კონსტრუქციაში თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებისას შეტანილი ცვლილებები არ უნდა ამცირებდეს მათს აგროტექნიკურ მაჩვენებლებს და საექსპლოატაციო საიმედოობას.

4. გადაკეთებული კომბაინების გადაყვანისა და მათზე მუშა ორგანოების ამუშავებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მისაბმელ კომბაინებზე დადგმული ძრავები.

5. უზრუნველყოფილ უნდა იქნას თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებული „ს-6“ და „რსმ-8“ კომბაინების მაქსიმალური წარმადობა ღვარეულების ალაგებაზე და პირობების შესაძლო ფართო დიაპაზონზე.

6. „ს-6“ და „რსმ-8“ კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთებისას უნდა ვემყარებოდეთ იმას, რომ კომბაინები უნდა მუშაობდნენ „პპუ-2,4“ ტიპის მისაბმელ ამლაგებლებთან აგრეგატში, ხოლო გადაკეთებისას კომბაინების განთავისუფლებული ხედერები უნდა გამოვიყენოთ როგორც ლაფეტიანი მწკრივადსამკელები; რომ კომბაინების ძრავები მუდამ იქნებიან დატვირთული სრული სიმძლავრით, ამიტომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გაცივების საიმედოობა.

კონკურსის მონაწილეებმა (საწარმოებმა და ორგანიზაციებმა) 1958 წლის 1 დეკემბრისათვის უნდა წარმოადგინონ გადაკეთებული კომბაინების ნიმუშები და ტექნიკური დოკუმენტაცია. კონკურსის ჟიურის მანქანების ნიმუშებთან ერთად უნდა წარედგინოს შემდეგი მასალები:

ა) გადაკეთებული კომბაინის საერთო სახის ნახაზები 1 : 5 მასშტაბით და კვანძებისა 1 : 2 მასშტაბით;

ბ) განმარტებითი ბარათი წარმოდგენილი სქემისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის მიზანშეწონილობის დასაბუთებით, აგრეთვე შესაბამისი ტექნიკური გაანგარიშებანი;

გ) „ს-6“ და „რსმ-8“ კომბაინების თვითმავალ კომბაინებად გადაკეთების ღირებულების გაანგარიშება და ლითონის საჭიროების გამოანგარიშება.

გადაკეთებული კომბაინების დამზადებული ნიმუშები გამოსაცდელად წარედგინება პუნქტებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებით.

კონკურსში მონაწილე ცალკეულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განმარტებითი ბარათი წარმოდგენილი სქემის მიზანშეწონილობის დასაბუთებით;

ბ) გადაკეთებული კომბაინის საერთო სახისა და კვანძების ნახაზები;

გ) „ს-6“ და „რსმ-8“ კომბაინების გადაკეთების ღირებულების გაანგარიშება და ლითონის საჭიროების გაანგარიშება.

კონკურსზე წარმოდგენილი კომბაინების კონსტრუქციისა და გამოცდის შედეგების განსახილველად დამტკიცებულია ჟიური.

საუკეთესო კონსტრუქციების ავტორებისათვის დაწესებულია პრემიები შემდეგი ოდენობით:

პირველი პრემია (ერთი) 15.000 მანეთი
მეორე პრემია (ერთი) 10.000 მანეთი
მესამე პრემია (ორი) 5.000 მანეთი თვითეული

კონკურსზე წარმოდგენილი ტექნიკური მასალების, ნიმუშებისა და გამოცდის შედეგების განხილვა მოხდება 1958 წლის 10-დან 15 დეკემბრამდე.



მრავალგინიანი სახლეგი მეშახტეებს

ამ სახლმა, რომელიც ამას წინათ გადაეცა ექსპლოატაციოდ, დაამშვენა ქალაქ ტყიბულის ცენტრალური — სტალინის სახელობის ქუჩა. მასში მრავალმა მეშახტემ მიიღო სამოთახიანი ფართო და ნათელი ბინა. სახლის ქვედა სართულში მოთავსებულია მაღაზიები. იგი მეხუთე სახლია, რომელიც წელს გადაეცა ტყიბულელ მეშახტეებს.

აქვე აგებენ მეორე ასეთსავე ოთხსართულიან ორმოცბინიან საცხოვრებელ სახლს. მისი მშენებლობა წლის ბოლომდე დამთავრდება.

ფოტო დ. ხაბელაშვილისა.

დღეს ტაილანდში

პეკინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ბანგკოკის გაზეთების ცნობით, ტაილანდის „რევოლუციურ კომიტეტთან“ შექმნილია ადმინისტრაციული საბჭო, რომელმაც იკისრა ტაილანდის ყველა საშინაო და საგარეო საქმეების მართვის ფუნქციები ახალი კონსტიტუციის გამოქვეყნებამდე.

ადმინისტრაციულ საბჭოში შევიდნენ ტაილანდის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი სარიტ ტანარატი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტანომ კიტი — კაჩონი, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ნარემკიტ ვატანანგკუნი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ლუანგ ჩამნან ატაიუტი.

ტაილანდის „რევოლუციურ კომიტეტთან“ შექმნილია აგრეთვე „ეროვნული ეკონომიკის აყვავების უზრუნველყოფის ჯგუფი“. ამ დღეებში ამ ჯგუფმა განიხილა საკითხი ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მიმართვის შესახებ თხოვნით, რომ ტაილანდს მიეცეს დამატებითი „ეკონომიური დახმარება“. მან გადაწყვიტა, რომ ტაილანდის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანატ კომანი იქნება ტაილანდის მთავარი წარმომადგენელი ამერიკის მხარესთან მოლაპარაკებაში.

მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-ჰაიათი“ იუწყება, ლიბანის კრიზისის პერიოდში მიმდინარე წლის მაისიდან ოქტომბრამდე 25 ათასმა ლიბანელმა მუშამ და მოსამსახურემ დაკარგა სამუშაო. განსაკუთრებით დიდია უმუშევრობა ქალაქებში ბეირუთში, ტრიპოლსა და საიდაში.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი განხილა ლიბანის მინისტრთა საბჭომ და მთავრობამ დასახა უმუშევრობის ლიკვიდაციის მთელი რიგი ღონისძიებანი.

ლიბანის მთავრობისათვის მეორე დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა იარაღის ჩამორთმევა მოსახლეობისათვის.

მაშინ, როცა ლიბანელმა აჯანყებულებმა დაშალეს მათ მიერ აღმართული ბარიკადები და ლიკვიდაცია უყვეს გასამხედროებულ ბანაკებსა და შტაბებს, რეაქციული ელემენტები და, კერძოდ, „სახალხო სოციალური პარტია“ განაგრძობენ წინააღმდეგობას მთავრობის ღონისძიებებისადმი და ინარჩუნებენ შეიარაღებულ რაზმებს. ამ უკანასკნელ დღეებში „სახალხო სოციალური პარტიის“ რაზმებმა დაიწყეს ხელახალი დისლოკაცია და პატარა ჯგუფებად მკვიდრდებიან ბეირუთის გარეუბნებში.

პროფკავშირის მსოფლიო ფედერაციის განცხადება აჯომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე თათბირთან დაკავშირებით

პრაღა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 31 ოქტომბერს ჟენევაში იხსნება თათბირი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ჯიუტობას იჩენენ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების თვალიანთ პოლიტიკაში, განაგრძობენ მზადებას თერმოატომგულის ომისთვის. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა არა თუ არ მიბაძეს საბჭოთა კავშირის მაგალითს, რომელმაც მიმდინარე წლის დამდეგს შეწყვიტა ატომგულის იარაღის გამოცდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი გამოცდების ინტენსივობა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშრომელებსა და მათ პროფკავშირებს კიდევ უფრო გააძლიერონ ერთიანი ბრძოლა ატომური საფრთხის წინააღმდეგ, ომის ყველა მუქარის წინააღმდეგ და განსაკუთრებით ტაივანის სრუტის რაიონიდან ამერიკის ჯარების გაყვანისთვის.

იგი მოუწოდებს მშრომელებსა და მათ პროფკავშირებს გაუგზავნონ მრავალი წერილი და რეზოლუცია დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც 31 ოქტომბერს შეიკრიბებიან ჟენევაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია დარწმუნებულია, რომ მშრომელები დაუცხრომლად და კიდევ უფრო ფართო ერთიანობით განაგრძობენ ბრძოლას მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, რომელიც განუყოფელია მათი მუდმივი ბრძოლისაგან სოციალური პროგრესისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებებისათვის.

კანადაში ქვანახშირის შახტის აფეთქების გამო

ოტავა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, კანადის ქალაქ სპრინგჰილის (ახალი შოტლანდიის პროვინცია) ქვანახშირის შახტიდან მაშველ სამუშაოთა შედეგად გუშინ დედამიწის ზედაპირზე ამოიტანეს მეშახტეთა ექვსი გვამი. სულ აღმოჩენილია 32 გვამი. ბედი დანარჩენი 49 მეშახტისა, რომლებიც 24 ოქტომბრიდან შახტში იმყოფებოდნენ დაახლოებით 4 კილომეტრ სიღრმეზე, გამოურკვეველია. გრძელდება მაშველი სამუშაოები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ვაკანტურ ადგილებზე:

I. **კლინიკური განყოფილება**

1. განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (ერთი ლარინგოლოგიური განხრით) — 3.
3. მეცნიერი მუშაკი ექიმი — 4.

II. **ექსპერიმენტული კიბოს ლაბორატორია**

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი—1.
3. მეცნიერი მუშაკი ექიმი (ერთი ვირუსოლოგიის მეცნიერ) — 2.
4. ექიმი ლაბორანტი — 3.

III. **პათომორფოლოგიური ლაბორატორია**

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი—1.
3. ექიმი ლაბორანტი — 1.

IV. **ბიოქიმიური ლაბორატორია**

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. მეცნიერი მუშაკი — ექიმი — 2.
3. ექიმი ლაბორანტი — 2.

V. **რენტგენო-რადიოლოგიური კაბინეტი**

1. კაბინეტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. ექიმი რენტგენოთერაპევტი — 1.
3. ექიმი რადიოლოგი — 1.

VI. **საორგანიზაციო-მეთოდური სექტორი**

1. ექიმი მეთოდისტი (საორგანიზაციო-მეთოდური განხრით) — 1.

კონკურსში მონაწილეობენ ინსტიტუტის დირექციის სახელზე უნდა წარმოადგინონ ორ ცალად შემდეგი საბუთები: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ორი ცალი ფოტოსურათი, 3. ავტობიოგრაფია, 4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 5. დიპლომის ასლი ხარისხის მინიჭების შესახებ (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 6. დიპლომის ასლი წოდების მინიჭების შესახებ (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 7. სამეცნიერო შრომები და მათი რეცენზია, 8. დახასიათება როგორც სამსახურის, ისე პარტიული უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 9. ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, 10. სამხედრო წიგნაკი შესაფერისი აღნიშვნით სანხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მეცნიერი მუშაკებისათვის საჭიროა არანაკლებ ხუთი წლის სტაჟი აღნიშნულ სპეციალობაში.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ქ. თბილისი, პავლოვის ქუჩა № 21.

ალბანეთში გაემგზავრნენ ქართველი კალათბურთელები

31 ოქტომბერს მოსკოვიდან ალბანეთში გაემგზავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდი. საბჭოთა სპორტსმენი ქალები გამოვლენ ალბანელ კალათბურთელებთან ამხანაგურ შეჯიბრებაში. (საკდესი).

რამდენიმე სტრიქონით

⊙ ბაქოში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კრივში ახალგაზრდათა შორის. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ლენინგრადის კოლექტივი. საქართველოს გუნდმა მე-5 ადგილი დაიკავა. პირად ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ორმა მოკრივემ ნ. ქიქავამ (ბჩატე წონა) და დ. ჩოგოვაძემ (ქვემძიმე წონა) მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

⊙ საქალაქო გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში ერთ-ერთი საინტერესო შეჯიბრება იყო. ძირითადი ბრძოლა სასპორტო საზოგადოება „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ჩოგბურთელთა შორის მიმდინარეობდა. შეჯიბრებაში გამარჯვება და თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბურევესტნიკის“ გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა „დინამომ“, მესამე — „განთიადმა“.

⊙ წელს რესპუბლიკური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში გაიმართა ბათუმში. წონითი კატეგორიის მიხედვით გაიმარჯვეს: ზ. შეყრილაძემ, ო. ეგაძემ, შ. სეფაშვილმა, მ. ღუდუშაურმა, დ. გვანცელაძემ, შ. კილასონიამ, ა. სიხარულიძემ, ტ. ჭითაიშვილმა. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის წოდება თბილისელებმა მოიპოვეს.

⊙ ლანჩხუთში შეჯიბრებულია საქართველოს 1958 წლის პირველობის გათამაშების შედეგები ლელობურთში. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ საქართველოს 1958 წლის ჩემპიონის წოდება და გარდამავალი თასი კვლავ ჩოხატაურელმა ლელობურთელებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლანჩხუთელი სპორტსმენები, მესამეზე — აჭარის ლელობურთელები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის გაერთიანებული სხდომა

პეკინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პეკინში გაიმართა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის გაფართოებული გაერთიანებული სხდომა.

სხდომაზე მოხსენება ჩინელ სახალხო მოხალისეთა საქმიანობის შესახებ გააკეთა ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა იან იუნმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სრული გამოყვანა მოსაწვევს იმას, რომ გამარჯვებით დამთავრდა ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობისა და კორეისათვის დახმარების გაწევის დიდი ისტორიული ამოცანა, რომელიც ჩინელ მოხალისეებს დააკისრეს ჩვენმა სამშობლომ და ხალხმა.

თუმცა ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები გამოყვანილი არიან კორეიდან, განაგრძო იან იუნმა, მაგრამ ჩინელი ხალხი კვლავ იზრუნებს ჩვენი ორი ქვეყნის საერთო საქმისათვის აგრესიის მოსაგერიებლად, მშვიდობისა და სოციალისტური მშენებლობის დასაცავად. ჩინელი ხალხი მუდამ იქნება მოძმე კორეელ ხალხთან ერთად.

ყველა ჩვენთაგანი, სამშობლოში დაბრუნებული ჩინელი სახალხო მოხალისეები, განაცხადა დასასრულ იან იუნმა, მზად არიან ყოველ დროს სამშობლოს მოწოდებით მთელი ძალები მოახმარონ ტაივანის, პენხულედაოს, ძინმინდაოსა და მაძუდაოს განთავისუფლებას.

მოხსენების შემდეგ სხდომის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებმა წარმატებით შეასრულეს საპატიო მისია, რომელიც მათ სამშობლომ და ხალხმა დააკისრა. მგრი კორეის სახალხო არმიასთან ერთად მათ თითქმის სამი წლის მძიმე ბრძოლის განმავლობაში მოიგერიეს ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია. კორეაში დაბავების შემდეგ მათ წვლილი შეიტანეს კორეაში დაბავების განმტკიცების საქმეში და დაეხმარნენ კორეელ ხალხს მშვიდობიან მშენებლობაში.

მაგრამ, აღნიშნულია რეზოლუციაში, ამერიკის აგრესიული ჯარები კვლავ რჩებიან კორეის სამხრეთ ნაწილში, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ უქმნიან დაბრკოლებებს კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. ამერიკის ჯარები უნდა წავიდნენ კორეიდან, რათა კორეელმა ხალხმა თვითონ მშვიდობიანი გზით გააერთიანოს თავისი ქვეყანა. ჩინელი ხალხი კვლავაც გაუწევს დახმარებას კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას.

გააჩაღეს რა აგრესიული ომი, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამავე დროს შეიარაღებული გზით დაიპყრეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ტაივანი. ამას წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აშკარად დაიწყეს დანაშაულებრივი საქმიანობა „ორი ჩინეთის“ შესაქმნელად, ცდილობენ რა ხანგრძლივი ვადით შეინარჩუნონ ტაივანის ოკუპაცია. ჩინელმა ხალხმა უნდა დაძაბოს მთელი ძალღონე და ბოლომდე იბრძოლოს ტაივანის, პენხულედაოს, ძინმინდაოსა და მაძუდაოს განთავისუფლების წმიდა საქმისათვის და დაამთავროს სამშობლოს გაერთიანება.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

პრაღა, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისა და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-15 წლისთავისათვის.

მოწოდებებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობისა და ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების გარანტიაა, რომ საჭიროა ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხზე შეთანხმების მიღწევისათვის.

მთელ რიგ მოწოდებებში მოცემულია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მომავალი გამგზავრება ლიბანიდან

ბეირუთი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ორიანი“ იუწყება, გუშინ ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. უეინმ მიიღო ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის წევრები. გაზეთი აღნიშნავს, რომ უეინისთან საუბრის შემდეგ ჯგუფის თავმჯდომარემ გ. პლასმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ჩვენი მისია დამთავრდა. იგი წარმატებით დაგვირგვინდა. ჩვენ დავამყარეთ კარგი და მტკიცე მეგობრობა ლიბანელ ხალხთან. ამ პირობებში ჩვენ შეგვიძლია დავტოვოთ ლიბანი, საიაც ახლა ჩვენი ყოფნა უსარგებლოა“.

გაზეთის სიტყვით, პლასმ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფი, შესაძლოა, ლიბანს დატოვებს მომდინარე წლის დამლევამდე.

ატომგულის იარაღის მორიგი აფეთქება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, დღეს ნევადის შტატში მოხდა ატომგულის იარაღის მორიგი აფეთქება. ატომური მოწყობილობა აფეთქებულია დედამიწის ზედაპირიდან 255 მეტრ სიღრმეზე. აფეთქების ძალა 20 ათასი ტონა ტრინიტროტოლუოლის აფეთქების ექვივალენტურია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ვაკანტურ ადგილებზე:

I. **კლინიკური განყოფილება**

1. განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (ერთი ლარინგოლოგიური განხრით) — 3.
3. მეცნიერი მუშაკი ექიმი — 4.

II. **ექსპერიმენტული კიბოს ლაბორატორია**

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი—1.
3. მეცნიერი მუშაკი ექიმი (ერთი ვირუსოლოგიის მეცნერ) — 2.
4. ექიმი ლაბორანტი — 3.

III. **პათომორფოლოგიური ლაბორატორია**

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. უფროსი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი—1.
3. ექიმი ლაბორანტი — 1.

IV. **ბიოქიმიური ლაბორატორია**

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. მეცნიერი მუშაკი — ექიმი — 2.
3. ექიმი ლაბორანტი — 2.

V. **რენტგენო-რადიოლოგიური კაბინეტი**

1. კაბინეტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1.
2. ექიმი რენტგენოთერაპევტი — 1.
3. ექიმი რადიოლოგი — 1.

VI. **საორგანიზაციო-მეთოდური სექტორი**

1. ექიმი მეთოდისტი (საორგანიზაციო-მეთოდური განხრით) — 1.

კონკურსში მონაწილეობენ ინსტიტუტის დირექციის სახელზე უნდა წარმოადგინონ ორ ცალად შემდეგი საბუთები: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ორი ცალი ფოტოსურათი, 3. ავტობიოგრაფია, 4. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 5. დიპლომის ასლი ხარისხის მინიჭების შესახებ (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 6. დიპლომის ასლი წოდების მინიჭების შესახებ (შემოწმებული ნოტარიუსის მიერ), 7. სამეცნიერო შრომები და მათი რეცენზია, 8. დახასიათება როგორც სამსახურის, ისე პარტიული უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 9. ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, 10. სამხედრო წიგნაკი შესაფერისი აღნიშვნით სანხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ.

მეცნიერი მუშაკებისათვის საჭიროა არანაკლებ ხუთი წლის სტაჟი აღნიშნულ სპეციალობაში.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ქ. თბილისი, პავლოვის ქუჩა № 21.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

კლიენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ლომბარდში დაგირავებული და შესანახად მობარებული ნივთების მოლიანად ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით ა. წ. 16 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე შეწყვეტილი იქნება ყოველგვარი ოპერაციები.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

ბრძოლის ქ. № 2
(ტელ. №№ 3-21-62, 3-26-17)

2 ნოემბერს

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ბ“ კლასის გუნდებს შორის

გადათამაშება 1-ლი ადგილისათვის მე-4 ზონაში

„სპარტაკი“ (ერევანი) — ს ა ვ ო (როსტოვი)

დასაწყისი დღის 1 საათზე.
ბილეთები წინასწარ გაიყიდება 1 ნოემბრიდან.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 1 ნოემბერს
ოიდიპოს მეფე

კვირას, 2 ნოემბერს
დღისით და საღამოს
ოიდიპოს მეფე

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბსენი (აბონ. გარეშე), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ბოლეტი უნდა იწვოდნენ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შავი ბიჭი (აბონ. № 34., 3 ს.), **სინდისის ქისა** (აბონ. № 40., 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — სახლი გარეულებში (აბონ. № 90., 5 ს.), **თოჯინების ქართული** — ტყის მეგობრები (11 ს.), **ბრაზიანი მეზობლები** (4 ს.), **თოჯინების რუსული** — ქარიყლაპიის ბრძანებით (10 ს.), **ცირკი** — ციროდენა (1 ს.), **ცირკი** — უკრაინის სახელმწიფო ცირკის გასტროლები.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, **ინანი** (საზამთრო), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ალეხანოვის სახელობის კლუბი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — მეზღვაური „კომეტიდან“, **ამირანი** (საზაფხულო), **ინანი** (საზაფხულო) — პარტიზანული ნაპერწკალი.

საქართველოს კულტურის სამინისტროსა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი და კულტურის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აუწყებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტის
ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე თაყაიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-XI, 9 საკლარა ცეტკინის ქ. № 65, გამოსვლენება 2-XI, 4 ს. ხელოვნების მუშაკთა სახლიდან, მახარაძის ქ. № 8.

მოკლე ცნობები

◆ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისა და საკავშირო ალკა მე-40 წლისთავის გამო პოლონეთში დაიწყო საბჭოთა კინოს კვირეული. მთელ პოლონეთში უჩვენებენ საბჭოთა ახალგაზრდულ და საბავშვო ფილმებს.

◆ ბულგარული ხალხური სიმღერების დათვალიერებასთან დაკავშირებით, რომელიც სოფიაში მიმდინარეობს, ბულგარეთში სტუმრად არიან საბჭოთა კომპოზიტორები ა. გ. ნოვიკოვი, ვ. პ. სოლოვიოვ-სედოი და საბჭოთა მუსიკის მცოდნე რ. ვ. გლუზერი. 29 ოქტომბერს სოფიის კულტურის მოღვაწეთა კლუბში გაიმართა საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედების საღამო.

◆ პრაღაში დამთავრდა რადიომაუწყებლობის საკითხთა საერთაშორისო ორგანიზაციის საპროგრამო კომისიის მუსიკის მცოდნეთა საერთაშორისო თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. თათბირთან ერთად მოეწყო მუსიკა და საცეკვაო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი.

◆ 30 ოქტომბერს ბრიუსელში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბელგიაში ს. ა. აფანასიევმა თავისი რწმუნების სიგელები გადასცა მის უდიდებულესობას ბელგიის მეფე ბოდუენს.

◆ ათენის კინოთეატრებში უჩვენებენ საბჭოთა კინოფილმს „ორთაბრძოლას“. ბერძნული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კინემატოგრაფიის ამ ნაწარმოებს.

◆ კაიროში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ლიუ სიუი-ჭანის მეთაურობით. დელეგაციას მოლაპარაკება ექნება, რომ დადოს ახალი შეთანხმება ვაჭრობისა და გადასახდელების შესახებ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-